

**ქედის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო სამოქალაქო მრჩეველთა  
საბჭოს დებულება**

**მუხლი 1. ქედის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო სამოქალაქო  
მრჩეველთა საბჭო**

1. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო (შემდგომში საბჭო) არის ქედის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში მერი) სათათბირო ორგანო, რომლის უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით, საქართველოს ორგანული კანონით - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით.

2. საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია 10 წევრით. საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა არ უნდა იყოს 1/3-ზე ნაკლები. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილი არ არის, თუ დარღვეულია ამ პუნქტის მოთხოვნები.

**მუხლი 2. საბჭოს ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები**

1. საბჭო იკრიბება 3 თვეში ერთხელ მაინც.

2. საბჭო მერის წარდგინებით განიხილავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტებს, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებებს, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, ინფრასტრუქტურულ და სოციალური პროექტებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები საბჭოს წარედგინება წერილობით მერის მიერ მისი საკრებულოში წარდგენამდე 15 დღით ადრე მაინც.

4. საბჭო განსახილველად წარდგენილ დოკუმენტებს განიხილავს და თავის გადაწყვეტილებას მერს წარუდგენს მიღებიდან 7 დღის ვადაში.

5. საბჭო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე მერს წინადადებები და მოსაზრებები წარუდგინოს საკუთარი ინიციატივითაც.

6. საბჭოს გადაწყვეტილებებს აქვეყნებს ან/და საჯაროდ აცხადებს ქედის მუნიციპალიტეტის მერია.

7. საბჭოს წევრის საქმიანობა არ ანაზღაურდება.

**მუხლი 3. საბჭოს ხელმძღვანელობა და მუშაობის წესი**

1. საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს მერი.

2. საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

- ა) საბჭოს თავმჯდომარე;
- ბ) საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- გ) საბჭოს მდივანი;
- დ) საბჭოს წევრები.

3. საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილი იქნან საზოგადოების, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების წარმომადგენლები.

4. საბჭოს თავმჯდომარე:

- ა) ორგანიზებას უკეთებს საბჭოს მუშაობას, იწვევს და უძღვება საბჭოს სხდომებს;
- ბ) წარადგენს საბჭოს მერთან და სხვა პირებთან ურთიერთობაში.
- გ) მერს წარუდგენს ინფორმაციას, კვარტალში ერთხელ კი წერილობით ანგარიშს საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

დ) სხდომამდე 7 დღით ადრე ადგენს დღის-წესრიგს და უზრუნველყოფს მის გამოქვეყნებას.

5. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

6. საბჭოს სხდომა როგორც წესი ღიაა. საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე საბჭო უფლებამოსილია სხდომა გამოაცხადოს დახურულად.

7. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

8. საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

9. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

10. საბჭოს სხდომის ოქმს აფორმებს საბჭოს მდივანი.

11. საბჭოს ყველა წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს სხდომის ოქმს.

12. საბჭოს ყველა წევრი უფლებამოსილია სხდომის ოქმს დაურთოს თავისი განსხვავებული მოსაზრება, რომელიც აუცილებლად შეტანილი უნდა იქნას ოქმში.

#### **მუხლი 4. საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა**

საბჭოს საქმიანობას ხელს უწყობს და ორგანიზებაში დახმარებას უწევს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური, რომელიც საბჭოს თავმჯდომარის მოთხოვნით გამოყოფს სხდომის ჩატარების ადგილს, უზრუნველყოფს ტექნიკითა და საკანცელარიო მასალებით.

#### **მუხლი 5. სხვა დებულებანი**

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მერის ბრძანებით.

ქედის მუნიციპალიტეტის მერი

ლევან გორგილაძე

